ღია მმართველობა საქართველო

საჯარო კონსულტაციები 2016

მთავრობათა ღიაობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა ღია მმართველობის პარტნიორობის ფუნდამენტური პრინციპებია.

საქართველო, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყანა, ვალდებულია, 2016 წლის 30 აპრილამდე შეიმუშავოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი და წარუდგინოს ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს. საბოლოო სახით სამოქმედო გეგმა ღია მმართველობის პარტნიორობას წარედგინება 2016 წლის ივნისში. პარტნიორობის რეგულაციების შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერითა და ფართო საზოგადოებასთან მჭიდრო კონსულტაციების გზით, დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპებისა და პროცესის დაცვით. ღია მმართველობის პარტნიორობის სახელმძღვანელო დოკუმენტების გათვალისწინებით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ (სამდივნო) შეიმუშავა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესისა და საჯარო კონსულტაციების გეგმა.

საზოგადოების ინფორმირება, მიმდინარე პროცესების შესახებ, ონლაინ კონსულტაციებით დაიწყო. საზოგადოებას საშუალება აქვს სამდივნოს მიაწოდოს იდეები და მოსაზრებები, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ახალ სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. პროცესებში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის მიზნით, **სამდივნო საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, საჯარო კონსულტაციებს გამართავს საქართველოს მასშტაბით 29 მარტიდან 6 ივნისამდე.**

საჯარო კონსულტაციები წარიმართება ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის ფარგლებში USAID-ის დემოკრატიული მმართველობა საქართველოში პროგრამის მხარდაჭერით, ფორუმის წევრი არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.

შეხვედრაზე ფორუმის 2 წარმომადგენელი 20-30 წუთიანი პრეზენტაციით წარუდგენს საზოგადოებას ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპებს, ახალი სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციასა და მესამე სამოქმედო გეგმის სავარაუდო ვალდებულებებს. ფართო ჩართულობისა და ინტერაქტიული პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, დამსწრე საზოგადოებას წინასწარ დაურიგდება სამუშაო ფორმა და მასალა. პრეზენტაციების შემდეგ დამსწრე საზოგადოება იმუშავებს 4-5 კაციან სამუშაო ჯგუფებში, ხოლო შეხვედრის ბოლოს გაიმართება სამუშაო ჯგუფებში შემუშავებული იდეების პრეზენტაცია და დისკუსია. შეხვედრის ხანგრძლივობა 2 სთ.

შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ

ზურაბ სანიკიძე, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივანი;

მარიამ თუთბერიძე, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მრჩეველი;

გვანცა მეუნარგია, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მრჩეველი;

ნატალია ბარათაშვილი, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მრჩეველი;

ნინო მურველაშვილი, სსიპ იუსტიციის სახლის მომსახურების პროცედურების განვითარების და ბიზნეს ანალიზის სამსახურის მრჩეველი;

მარიამ თავდგირიძე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ეკა გაბადაძე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;

ანი კეკელიძე, სსიპ 112, განვითარების სამსახურის უფროსი;

დავით ალავერდაშვილი, შსს არქივის დირექტორის მოადგილე;

ანა კობერიძე, საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო სამსახურში ინსტიტუციური მოწყობისა და პრაქტიკის განზოგადების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი;

მიშა დარჩიაშვილი, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (USAID/GGI) უფროსი მრჩეველი სახელმწიფო მართვის საკითხებში;

ელენე გოცაძე, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (USAID/GGI) სპეციალისტი საჯარო ადმინისტრირების საკითხებში;

საბა ბუაძე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პროექტის ხელმძღვანელი;

სულხან სალაძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, პროექტის კოორდინატორი.

საჯარო კონსულტაციების განრიგი, დანართი 1. (გვ 4)

ღია მმართველობა საქართველოს 2014 წლის საჯარო კონსულტაციების განრიგი				
კახეთი				
თარიღი	**ქალაქი**	**ადგილმდებარეობა/დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
29 **მარტი**	**თელავი**	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 12:00	აკადემიური წრე, სტუდენტები	გვანცა მეუნარგია საბა ბუაძე მიშა დარჩიაშვილი დათო ალავერდაშვილი ანი კეკელიძე დევიდ სმიტი
		USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი 15:00	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	
	საგარეჯო	USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი 11:00	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	მარიამ თუთბერიძე მარიამ თავდგირიძე ეკა გაბადაძე ნინო მურველაშვილი ელენე გოცაძე

	კაჭრეთი გურჯაანის მუნიციპალიტეტი	საზოგადოებრივი ცენტრი 15:00	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	მარიამ თუთბერიძე მარიამ თავდგირიძე ეკა გაბადაძე ნინო მურველაშვილი ელენე გოცაძე

ქართლი				
თარიღი	**ქალაქი**	**ადგილმდებარეობა/დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
1 აპრილი	**გორი**	USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, 13:00	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	მარიამ თუთბერიძე გვანცა მეუნარგია ნინო ცუხიშვილი მიხეილ დარჩიაშვილი ელენე გოცაძე

მცხეთა–მთიანეთი				
თარიღი	**ქალაქი**	**ადგილმდებარეობა/დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
4 აპრილი	**მცხეთა** (დუშეთი)	მცხეთის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	მარიამ თუთბერიძე გვანცა მეუნარგია ანა კობერიძე მარიამ თავდგირიძე ეკა გაბადაძე მიშა დარჩიაშვილი

აჭარა				
თარიღი	**ქალაქი**	**ადგილმდებარეობა/დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
7 აპრილი	**გურია**	USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი 17:00	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	გვანცა მეუნარგია მარიამ თუთბერიძე მარიამ თავდგირიძე მიშა დარჩიაშვილი თაკო ნადიბაიძე
8 აპრილი	**ბათუმი** (ხელვაჩაური, ქობულეთი)	ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 14:00	აკადემიური წრე, სტუდენტები	გვანცა მეუნარგია მარიამ თუთბერიძე მარიამ თავდგირიძე მიშა დარჩიაშვილი თაკო ნადიბაიძე
		USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, 16:00-18:00	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	

ქვემო ქართლი				
თარიღი	**ქალაქი**	**ადგილმდებარეობა/დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
13 **აპრილი**	**რუსთავი**	USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, 16:00	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	მარიამ თუთბერიძე მარიამ თავდგირიძე ეკა გაბადაძე მიშა დარჩიაშვილი

	მარნეული (ბოლნისი)	USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, 14:00	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	გვანცა მეუნარგია თაკო ნადიბაიძე ელენე გოცაძე

სამეგრელო				
თარიღი	**ქალაქი**	**ადგილმდებარეობა/დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
21 **აპრილი**	**ზუგდიდი** (აბაშა, სენაკი, ჩხოროწყუ, მარტვილი, ხობი)	USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი,	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	გვანცა მეუნარგია მარიამ თუთბერიძე მიშა დარჩიაშვილი

იმერეთი				
თარიღი	**ქალაქი**	**ადგილმდებარეობა/დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
22 **აპრილი**	**ქუთაისი** (ხონი, სამტრედია, წყალტუბო, ზესტაფონი, თერჯოლა)	USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები		გვანცა მეუნარგია მარიამ თუთბერიძე მიშა დარჩიაშვილი
		ქუთაისის უნივერსიტეტი 13:00	აკადემიური წრე, სტუდენტები	

	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ხევი	საზოგადოებრივი ცენტრი	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	მარიამ თუთბერიძე მიშა დარჩიაშვილი

სამცხე–ჯავახეთი				
თარიღი	**ქალაქი**	**ადგილმდებარეობა/დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
11 მაისი	**ახალციხე** (ნინოწმინდა, ასპინძა, ადიგენი, ბორჯომი)	USAID, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი,	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	მარიამ თუთბერიძე საბა ბუაძე მიშა დარჩიაშვილი

სვანეთი				
თარიღი	**ქალაქი**	**ადგილმდებარეობა/დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
4 ივნისი	მესტია	მესტიის იუსტიციის სახლი	ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა დაინტერესებული პირები	ზურაბ სანიკიძე მიშა დარჩიაშვილი

თბილისი				
თარიღი	**ადგილმდებარეობა**	**დრო**	**აუდიტორია**	**პასუხისმგებელი პირი**
24 მაისი	**თავისუფალი უნივერსიტეტი**	16:00	აკადემიური წრე, სტუდენტები	მარიამ თუთბერიძე გვანცა მეუნარგია
25 მაისი	**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	17:00	აკადემიური წრე, სტუდენტები	მარიამ თუთბერიძე გვანცა მეუნარგია
6 ივნისი	**ბიზნეს ორგანიზაციები**	10:00		მარიამ თუთბერიძე გვანცა მეუნარგია